



# საქართველოს ძლიერი ზრდის პერსპექტივები 2026 წელს: მაღალი შიდა მოთხოვნა და გაუმჯობესებული სავაჭრო ბალანსი

გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ/წ)



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზების მიხედვით, იანვრის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა **2026 წლის პირველ კვარტალში 5.1%-ით**, მეორე კვარტალში კი **6.3%-ით** გაიზარდოს. 2026 წლის წლიური ზრდა პესიმისტურ სცენარში 4.9%-ს, ხოლო ოპტიმისტურ ან საშუალო გრძელვადიან სცენარში 6.3%-ს შეადგენს. ჩვენი ზომიერი სცენარის (ბოლო ოთხი კვარტლის საშუალო ზრდაზე დაფუძნებული) პროგნოზით, რეალური მშპ-ის ზრდა 6.1% იქნება.




მონეტარულ ინდიკატორებს შორის, 2026 წლის იანვარში უცხოური ვალუტის დეპოზიტები (FC\_DEPTOT) წლიურად მხოლოდ 1%-ით გაიზარდა, რაც დოლარიზაციის შემცირებაზე მიუთითებს – დეპოზიტების მთლიანი დოლარიზაცია 54.1%-დან 48.1%-მდე შემცირდა. ამავდროულად, ეროვნული ვალუტის დეპოზიტები (NC\_DEPTOT) წლიურად 28.6%-ით გაიზარდა, ხოლო M2 აგრეგატი წლიურად 25.7%-ით გაფართოვდა, რაც უფრო აქტიურ მონეტარულ პირობებსა და მოთხოვნის მხარის უფრო ძლიერ დინამიკაზე მიუთითებს. მთლიანობაში, მონეტარულმა ინდიკატორებმა პროგნოზში დადებითი წვლილი შეიტანეს.




იანვარში ექსპორტი 19%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 33.7%-ით შემცირდა, რამაც სავაჭრო დეფიციტის 50%-ით შემცირა. წმინდა ექსპორტის ფარდობითმა გაუმჯობესებამ მშპ-ის პროგნოზზე დადებითი ეფექტი იქონია. სავაჭრო დინამიკის გაძლიერებამ ეკონომიკურ აქტივობას ხელშესახები ბიძგი მისცა, თუმცა მდგრად ზრდაში მისი გრძელვადიანი წვლილი შეზღუდული რჩება ექსპორტის სტრუქტურის გამო.

იანვარში აშშ დოლარი ლართან 0.2%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქული ლირა 1.4%-ით. ამ ვალუტებისგან განსხვავებით, ევრო 1.1%-ით, რუსული რუბლი კი - 3.8%-ით გამყარდა. სავალუტო კურსის ამ ცვლილებების საერთო გავლენა მშპ-ს ზრდის პროგნოზზე უარყოფითი იყო. ამავდროულად, ოფიციალური სარეზერვო აქტივები თვითრად 2.3%-ით გაიზარდა, რაც გარე ლიკვიდურობის პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.



იანვრის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 4.8%-ს შეადგენდა, რაც ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელს აღემატება. ამავდროულად, Euro Brent-ის სპოტ ფასი წლიურად 16%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, ინფლაციამ დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.



## მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.